

მწყმეხი



მე ვარ მწყმეხი კეთილი: მწყმეხმან კეთილმან სული თვისი, დასდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
მავფე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
მოვედით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენეთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 6

1883—1902

15—30 მარტი


ს ი ბ შ ვ ა,

მართლ-მადიდებლობის კვირაგკესა, თქმული ქუთაისის საკათედრო ტაძარში.

„მართლ-მადიდებლობისა დღეს ვდღესასწაულობთ რა, მართლ-მადიდებელნი ვართ, უმეტესად ვადიდოთ მიზეზი ყოვლისა სიკეთისა ღმერთი“.

დღევანდელ წმიდა წირვას თან ახლავს ფრიად შესანიშნავნი და სიგულისხმიერო საღმრთო მოქმედება, რომელსაც სახელად ეწოდება „მართლ-მადიდებლობის წესი“. ცხადია, ამ წესის განსაკუთრებითი ხასიათს უნდა მიეწეროს ეს შესანიშნო სიმრავლე მლოცველებისა, ეს სიდიდე და სავსება თქვენნი შეკ-

რებულებისა. გემართებს, გემართებს, ძვირფასო მსმენელნო, ბეჯითი სოვნა ამ დღისა და ყოველეთამს მომეტებული სიმრავლითაც შეკრება ეკკლესიაში მოსასმენად და დასამარხად გულში ყველა იმისი, რასაც ეკკლესია აწვით დაღადით, სავსე გულ-ახილობით და მიუფერებელი სიმკაცრით ასრულებს დღეს. „მართლ-მადიდებლობისა დღესა ვდღესასწაულობთ“ და განა გასაკუბი და საგმობი, სამარცხინო და სათაკილო, უკუღმართობა და სიკვდილი არ იქნება, რომ არ გვახსოვდეს ჩვენნი საკუთარი დღესასწაული? მოსათმენი და ასატანია რიგიანი, შენგებული, პატიოსანი და წრფელი მართლ-მადიდებლისათვის არა მოხვლა დღეს წმ. ეკკლესიაში, არა დატკობა თავისი მშობელი დედის ბედნიერებით, არა გახარება მისი სიხარულით, არა გამსქვალვა მისდამი სხვებთან ერთად წრფელი ერთგუ-



ლობით, მხურვალე სიყვარულით და შვილობრივი გულსმოდგინებით? ვიცი, რომ დღეს ჩემი მშობელი, ჩემი აღმზრდელი, ჩემთვის თავდადებული დედის სასიხარულო დღეა, ის თითონაც მომაგონებს ამას, მიმიწვევს თავისთან მზიარულებაში მონაწილეობის მისაღებად, და მე კი არამც თუ არ ვასრულებ ამას, პირიქით სხვებსაც ურჩევ არ მივიდნენ დედაქმეამან, არ მიიღონ მონაწილეობა მის მზიარულებაში და არაფრად მიიჩნიონ მისი მოქმედებანი. განა რომ, ყველა გამკიცხავს ამგვარი საქციელისთვის, განა რომ სამართლიანად დავიმსახურებ უმაღლური და გარეწარი შვილის სახელს, განა რომ გულ ნატკენ დედას მიეცემა სრული უფლება აღარ ჩამთვალოს თავის შვილად, გამომიცხადოს მორჩილ და პატივისმცემელ შვილების წინაშე სრული რისხვა და გულწყრომა თვისი და ბოლოს გამომავლას, გამდევნოს და გამაძვოს თავისი სახლიდან!

სწორეთ ამგვარ რისხვას და გულის წყრომას უცხადებს დღეს წმ. ეკკლესია იმ მართლ-მადიდებლებს, რომლებიც მართლ-მადიდებელთა რიცხვში ითვლებიან და საქმით კი გადასდგომიან მართლ-მადიდებლობას, უარს ჰყოფენ მის მოძღვრებას, არაფრად არ მიიჩნევენ ის ძლევა და გამარჯვება წმ. ეკკლესიისა, რომლის მოსაგონებლადაც ასრულებს იგი დღეს «მართლ-მადიდებლობის წესს».

წესი მართლ-მადიდებლობისა* დაიღო ეკკლესიაში ამ ათას სამოცი წლის წინეთ, საბერძნეთის ნეტარი დედოფლის თეოდოსიის დროიდან, აღსანიშნად და სახსოვრად იმ გარემოებისა, რომ ღვთის ძალის დახმარებით და იმისთანა გამოჩენილ პირთა თავდადებული ღვაწლით, როგორებიც იყვნენ პატრიარხი გერმანე, პატრიარხი ტარასი, წმ. იოანე დამასკელი და მრავალნი სხვანი, მართლ-მადიდებელმა ეკკლესიამ ჰძლია და დაამხო წმინდა ხატების მოპოვონი, საზოგადოდ დაამარცხა ყველანი, რომლებიც ასი წლის განმავლობაში დაუსვენებლად ჰმუსრავდნენ, ჰსწავდნენ, ჰგმობდნენ და უშვებდნენ ჰბღალავდნენ წმინდა ხატებს, ხოლო მათ პატივის მცემლებს აყენებდნენ აუტანელ ტანჯვა-წამებას. ხსენებული სანატრელი დედოფლის დროს შესდგა 842 წელს კონსტანტინებოლში კერძო საეკკლესიო კრება, რომელმაც აღადგინა სავსებით ხატთა თაყვანისცემა და განაჩინა მუდამ წლივ აღსრულება საკათედრო ტაძრებში იმ საგულისხმო წესისა, რო-

მელიც უნდა მოვისმინოთ რამდენიმე წამის შემდეგ.

სადა, მარტივი, ადვილი მისახვედრი და ნათელია ამ წესის შინაარსი. ერთის მხრით იხსენებიათ ლოცვა-კურთხევით ყველანი, რომლებსაც ურცხვენელად უღვაწიათ მართლ-მადიდებლობითი სარწმუნოების სასარგებლოდ და მასწინავე აღსრულ ბუღან, მეორე მხრით სიცოცხლეში მყოფ კეთილ მართლ-მადიდებელთათვის გამოეთხოვების უფალსა კეთილდღეობა, მრავალწამიერობითი ცხოვრება და სარწმუნოებრივი წარმატება, ხოლო იმათ, რომლებიც გადასდგომიან მართლ-მადიდებლობას და აღარ ემორჩილებიან სარწმუნოებას, საქვეყნად, ცხადად და ხმა მალღივ ეცხადებათ „ახათჟს“, ე. ი. ვაშარება, განდევნა და განძეგება ეკკლესიიდან.

გარნა სიტყვა ახათჟს ეკალსავით ესობათ გულში ჩვენი დროის მრავალ ვითომდა მართლ-მადიდებლებს. ბევრნი ჰკიცხვენ კიდევ ეკკლესიის ამ წესის შესრულებისათვის. ეკკლესია დედაა ყველასო, გულმწყურლად ბრძანებენ ივინი, და გარდა აღერსისა, სიტკბოებისა და საყვარულისა არა უნდა გვესმოდეს რა მისგან, ახათჟს, განძეგება და მოშორება ვისიმე მას არ შემწვერისო და სხვა-და-სხვა. მაგრამ როგორ მოგწონთ ამგვარი მსჯელობა! ეკკლესიის დედად სთვლიან, ხოლო მისი საღმრთო მკერდი, მისი რძე, ე. ი. მისი წეს-წყობილება და მოძღვრება კი ეზიზღებათ! ეკკლესიისაგან თხოულობენ აღერსს და სიტკბოებას, ხოლო თითონ ყოველთვის და ყველაფერში შეურაცხ-ჰყოფენ მას! ამ კვალზედ რომ ვიაროთ შემცდარათ უნდა ჩავთვალოთ მეოჯახე, რომელიც ნიშნავს რა საღ ხილუმ დამპლებს, დაუყვენებლივ არჩევს და ჰყრის მათ გარეთ, რომ სხვები გადაარჩინოს სიღამპლეს; დამნაშავეა აგრეთვე ეს, რომელიც საკუთარი ხელით არღვევს და ანგრევს ცეცხლით მოკულ შენობას, რომ ამით მოუსპოს გაონაგრებულ ცეცხლს საშუალება სხვა სახლებზე გადასვლისა და მთელი მიღმოს განადგურებისა! ან იქნება სახეში მისაღებია საყვედური თავზე ხელ-აღებულის ავაზაკისა, რათ მიკრავთ ბოროლით ხელებს და ფეხებს და არ მიძღვეთ ნებას, რომ ყველანი გაეძარცვა, ყველანი დაეარბიო, ყველას თავხარი დაეცე და ბევრს მოუსპო სიცოცხლეო! უბადრუკები! ეკკლესიის ჰმოდ-



ღვრიან, არიგებენ, რომ იგი უნდა იყოს მომთმინო, უსაზღვროდ გულ-შემატყვიარი, სულგრძელი და ამავე ღროს არ აგონდებათ, რომ ამ შემთხვევაში ეკლესია მხოლოდ პირნათლად ასრულებს თავისი ღვთაებრივი დამფუძნებლის ბრძანებას, რომლის მიხედვით მან უნდა მიიმჩნიოს წარმართ და მეზვერედ ყველა, ვინც გადავა, უარს უყოფს, წინაღმდეგი გაუხდება და არ დამორჩილება მისს (ეკლესიის) რჩევას, სწავლას და ხმას. (მათ. 18, 17) ნუ თუ იმას, რომელმაც კაცის გამოხსნისათვის თავს იღვა სიტყვით გამოუთქმელნი ვნებანი, დათმინა ჯვარცმა და მწიგნ სიკვდილი, ესწავლება ვისგანმე კაცის შებრალება და შეწყნარება?! რა ეთქმით აქ დღევანდელი ეკლესიური წესის შესრულების მოწინააღმდეგებს?

შორს, შორს ვპყობ ჩვენგან, მართლ-მადიდებელნი მსმენელნი, მაგალითი, აზრი და მიდრეკილება ამ სარწმუნოების მოღალატეების; ვიყენებ ყოველთვის გულს მოღვინე მსმენელნი ეკლესიის ხმისა, ხშირად შევიკრიბებოდეთ, მსგავსად მფრინველის მართეთა, მის ფრთეთა ქვეშე და მისი დედობრივი მუარველობით გამოთბარი გულით. გავიზიაროთ ხოლმე როგორც მხიარულება, ისე ყოველი უწყუბარება და ქმუნვა მისი აღვავლინოთ, თანახმად ეკლესიის სურვილისა, მსურვალე ვედრება უფლისადმი იმ უბედურთა და შემცდართათვის, რომლებიც განუღვებთან მართლ-მადიდებლობას, რათა მგრავინვარე ახაყუმე განხმაროს მათი თავხედობა, გამოაფხიზლოს სვინიდიის მათი, შეაძრწუნოს ვნებათა მიერ შეპყრობილი მათი გული და განუღვიძოს მათ ნაპერწყალი სინანულისა, სურვილი ცოდვისა და დანაშაულის შეგნებისა.

მართლ-მადიდებლობისა დღესა ვდღესასწაულობთ რა, მართლ-მადიდებელნი ვართ, უმეტესად ვადიდებთ მიზეზი ვოვლისა სიკეთისა ღმერთი. ამინ.

ქანისკაზოსი ლეონიდი.



მხარამ ფიქრები.

„ივერი“-ის მე-61 №-ში ჩვენ წავიკითხეთ შემდეგი შენიშვნა, რომელმაც ჩვენი ფიქრები უმეტესად განაშწარა. აი ეს შენიშვნა:

„ქართველნი კათოლიკენი დიდს საქმეს შეუდგნენ ბათუმში. იკეთებენ ვრცელს, შესანიშნავს ეკლესიას, რომელიც ერთობ დიდი ფული ჯდება და დიდი, მშვენიერი, განსაცვიფრებელი რამ შენობაც არის, დიდის ხელოვნებით აგებული და ძვირფასად შემკობილი. ეკლესია მთავრდება და შიგკედლების დახატვას ადვიან ახლა ოსტატები. ეკლესიის წინ, შესავლის მალა, მარცხნივ, სვგას ანდრია მოციქულის ძეგლი; მარჯვენა მხარეს წმინდა ნინოა გამოქანდაკებული მთელის ტანით, შესანიშნავად შვირფასად.

ეკლესიის დამთავრება ძირელ გაუჭირდათ, მაგრამ ხარჯი თავს იღვა ჩვენის ქვეყნის ქველ-მომქმედმა მამულის-შვილმა სტეფანე კონსტანტინეს ძემ ზუბალაშვილმა, რომელიც არას წინად ბათუმში იყო და ეკლესია დაათვალიერა.

ქართველ კათოლიკეთ ეშველათ ბათუმში, როგორც იქმნა, გაუკეთდათ მშვენიერი ეკლესია ღ ქართველ მართლ-მადიდებელთ-კი, რომელთა რიცხვი ბათუმში იქაურ მცხოვრებთა ნახევარზე მეტია, ერთი ქართული ეკლესიაც არა აქვთ. თუმცა ქართული ეკლესიისათვის აღრვე აქაურმა ქართველობამ ქალაქის გამგებობას კი მოზრდილი ილაგაც გაუმოსთხოვა ეკლესიის ასაშენებლად ფულიც მოაგროვეს, საძირკველიც ჩაჰყარეს, მაგრამ ყოველივე ეს დღეს მიავიწყდათ, სეკლესიო ალაგი უღაბნოდ გამხდარა და, ვგონებთ, აქაურ ქართველებს ეკლესიის აშენება აღარც კი ახსოვთ.“

რისგან მოხდა ის, რომ „ათასმა მცხოვრებმა ფრანგებისამ შესანიშნავი ეკლესია ააგეს და 15000-ზე მეტმა ქართველობამ ბალავერსაც ვეღარ ააშორეს ეკლესია და დღეს კიდევ დაავიწყდათ ტაძრის კეთება?“

ტაძრის აშენებაზე ზრუნვა დამოკიდებულია უმეტესად მოძღვარზე. ფრანგებს თავისი მოძღვარი ჰყავსთ და ქართველობას კი, ვგონებ, ბათუმში სულ არა ჰყავთ ქართველი მღვდელი. ამ რამდენიმე წლის წინად ერთი ქართველი მოძღვარი



აქარელ ქართველებს ქართულად არ ელაპარაკებოდა და როცა მათ ქართულად წირვის აღსრულება სთხოვეს ამ მოძღვარს, მან ყველა ქართული წიგნების ყიდვა დაავალა მათ და შემდეგ დაპირდა ქართულად წირვის შესრულებას!.. დიას, მეოცე საუკუნე დადგა, მაგრამ ჩვენთვის კი ჯერეთ არა. ჩვენი ეგრედ წოდებული— „განათლებული ინტელიგენცია“ ასე ბრძანებს: მაშინ დადგება ბენდიერი დრო, როცა სასულიერო წოდება მოგვმორდებაო!.. ამისთანა „განათლებულმა“ ინტელიგენციამ ან ბალაევერი როგორ ჩაჰყარა ეკლესიის ასაგებად!?...

* *

ქეშმარიტად დიდი სასჯელია კაცისათვის, როცა მას მოაკლებენ თავისუფლებას. უბედურია კაცი თავისუფლებას მოკლებული; იაროს მაშინ, როცა უბრძანებენ, იაროს იქით, საითაც უბრძანებენ, დაწვეს და იძინოს, განიღვიძოს და აღდგეს მაშინ, როცა უბრძანებენ—მეტის მეტად აუტანელია. კაცს მაშინ შეუძლია დაფასოს თავისუფლება, როცა იგი დაკარგავს მას. კაცს მაშინ შეუძლია დაფასოს თავისი თვლები, იგარჰნოს ის ბენდიერება, რომელსაც იგი ყოველ დღე გრძობდა, როცა თვლები დაემსება. მხოლოდ მაშინ დაფასებს კაცი თავის თავისუფლებას, როცა მას დაეკარგება იგი. ესევე შეიძლება ითქვას იმ კაცზე, რომელიც მოკლებულია თავისუფლად გამოსთქვას თავისი აზრი და სიტყვა. ვინ აღწერს იმ კაცის მწუხარებას და სულიერ ტანჯვას, რომელიც მოკლებულია სიტყვის თქმის თავისუფლებას? მართალია, საღმრთო წერილი გვიჩვენებს დავსდოთ საცო ენასა ჩვენსა და კარი ბაგეთა ჩვეთა, მაგრამ არც მის გვიჩვენებს, რომ დავიდუმოთ ენა ჩვენი სიმართლის სათქმელად, შებრალებისათვის ჩაგრულთა და შემწეობისათვის გაჭირვებულთა.

* *

იყვინთ უკვე მეცნიერ ვითარცა გველი, და უმანკო, ვითარცა მტრენი.

რამდენს ცნობის მოყვარეს უკითხავს: ავიხსენით, რა სიბრძნე აქვს გველსა? რაში გამოიხს-

ტება მისი სიბრძნე? ამ კითხვაზე გავვიგონია ჩვენი შემდეგი პასუხი: ის გველები, შვილო, ესლა აღარ არიან ქვეყანაზე; ესლა რომ გველებს ვხედავთ ჩვენ, იმაზე კი არ არის ეს სიტყვები ნათქვამი მაცხოვრისაგან, არამედ სხვა გველები იგულისხმება. წავსწრებივართ პატარაობისა ამ კითხვის ამნაირად განმარტებასაც: წინეთ გველები კაცებივით ამართულნი დადიოდნენ, მაგრამ ღმერთიან რომ დასწყევლა, მას უკან ისეთები არიან იგინი, როგორებსაც დღეს ვხედავთ..

რას ნიშნავს მღვდელ-მთავრის კვერთხზე გველის თავები? გავვიგონია ასეთი კითხვაც. ესეც ხშირად იმნაირადვე აუხსნიათ, რომ მკითხველი არ დაეკაყოფილებულა.

თუ მოვიგონებთ იმ დროს, როცა ხსენებულ სიტყვები უთხრა თავის მოციქულებს უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, მაშინ ადვილად მივხვდებით იმ სიტყვების მნიშვნელობას. ეს სიტყვები უთხრა მაცხოვარმა თავის მოციქულებს, როცა მათ აგზავნიდა საქადაგებლად. ვის უქადაგებდნენ სახარებას მოციქულები? ურწმუნოთა, რომელნიც ნაცვლად მადლობისა და პატივისცემისა, ხშირად შეუტრაცხუყოფდნენ მოციქულებს და კიდევ ხოცავდნენ მათ. წინააღმდეგობის გაწევა და სიკვდილი კეთილ საქმედ მიიჩნდათ. ვერც ერთი ცხოველი ვერ იჩენს ქვეყანაზე ისეთ ნიქსა და გამჭირაზობას სიკვდილისაგან თავის გადარჩენაში, როგორსაც იჩენს გველი, თუ წასავალი, გასაქცევი საშუალება აქვს, გარბის კაცისაგან, მაგრამ, როცა გატყვევის ღონე არა აქვს ისეთ საშუალებას, ისეთ ზომებს ხმარობს სიკვდილის თავიდან ასაცდენად, რომ კაცი ოცდება. აი ამას უნდა მოაქციოს ყოველმა კაცმა ყურადღება და განსაკუთრებით მღვდელ-მთავარი უნდა იყოს აღჭურვილი სიბრძნით და გონებით და, ყოველივე ზომას უნდა ხმარობდეს როგორც თავის სამწყსოისა, ისე თავის სიცოცხლის დასაფარავად—ასეთივე ნიქი მოითხოვება ყველასაგან...



მაგრამ ამ ნიქს, სამწუხაროდ ყველა ხალხზე უფრო ჩვენ—ქართველები ვართ მოკლებული. ქართველი როგორც თვითონ არის ალალი გულის, ყველა ისეთი ჰგონია. ცხადი და აშკარა ფაქტებით რომ დაუმტკიცოს კაცმა თავისი გულ ძვირობა და გაუტანლობა, შემდეგ საკმაო მისთვის ერთი გაუკრიპო და პირში მიიფერო — ის საკუთარ ძმად, მამად და მამად აღგვიარებს!.. სრულებით არ მიაქცევს ყურადღებას წარსულს დროს და მომავალზედაც არ იღარდებს; ის სრული კმაყოფილია აწმყოთი და მომავალის უბედურება მას არ აფიქრებს... იგი ყოველთვის დაიმედებულია სხვებზე: სხვები ასწავლიან, სხვები დაიფარვენ მტრებისაგან და სხვები მიანიჭებენ სიმდიდრეს. ამ ახირებული იმედებით დაიმედებული აღარ ეძებს არც მამულის დამუშავებას და არც სხვა რაიმე საქმის ხელის მოკიდებას. ყველანი ერთდებიან უსიამოვნებას, ჯაფას, შრომას და განა შეიძლება ამისთანა ხალხმა იარსებოს ქვეყანაზე?..

* *

ჩვენ მივიღეთ ერთი ახირებული განცხადება, რომელსაც უტყვევლად ვბეჭდავთ:

„მის მაღალ ღირსებას

ბ. რედაქტორს დ. დ. ლამბაშიძეს

ძირითადი საპატივო გლუხის

გ—გია კონჭიაშვილისაგან


განცხადება.

განსვენებას არ მაძლევს ჩემი თავმოყვარება იმ დროს აქეთ, რაც უბედურება ეწვია შემახელებს. მე ისეთი უგრძობი კაცი არ ვახლავართ, როგორც ზოგიერთები. მეტად შემტკივა გული გაქირვებულებზე. მე დავბეჭდე ამას წინა დღეებში, მაგრამ საუბედუროდ ჩემდა არავინ იყიდა. შემეწირავს ორასი ცალი ამ ლექსებისა რედაქციისათვის იმ პირობით, რომ რედაქციამ თავის ხელის მომწერლებს მიპყროს ან ეკლესიებზე გაასაღოს და შემოსული ფული ვაგზაფროს შემახელების სასარგებლოდ. ესთხოვ რედაქციას მაცნობოს მიიღებს თავის თავზე ამ დარჩენილი ლექსების გაყიდვას, თუ არა? ლექსები თუმცა მე დამიჯდა თითო შაურის, მაგრამ ნებას ვაძლევ რედაქციას თითო ცალი ათ შაურად გაყიდოს.

გ—გია კონჭიაშვილი“.

სწორედ სასაცილო განცხადება არის, რომ სამწუხარო არ იყოს. რა დრო დადგა და როგორ დაიფიქრათ მაცხოვრის სიტყვა: „ქველის საქმეს ასრულებდით ფარულად“. ეს გამომდგარა და უსირცხვოდ ჟურნალებშიც კი აცხადებს! მერე რა სახით? წიგნები დაუბეჭდავს, ვერ გაუსაღებს და ბოლოს ძალით უნდა გაყიდოს ხელის მომწერლებზე და ეკლესიებზე!.. ვაი იმ საზოგადოების ბრალი, სადაც ამისთანა თავმოყვარე ქველ-მომქმედები გამრავლებიან და რომელთაც პირფერობა და მტნარი ამპარტანება სულის მოთხოვნილებად გარდაქცევათ...

სოფლის ხუცესი.



წერილი ქნევიდან

აქეთ გამომგზავრებამდის ხშირად მქონია საუბარი ამხანაგ ქალებთან, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ სწავლის განგრძობა უმაღლეს სასწავლებელში, იმის შესახებ, რომ რადგან რუსეთში ქალებს უძნელებენ მიღებას, გადაეწყვიტათ საზღვარ-გარეთ სწავლა-განათლების დაწაფება. მასთან, არა ერთხელ განმიმარტავს მათთვის, თუ რა დიდი გავლენა ექნებოდა მათ ზნეობრივ და განვითარებაზე საზღვარ-გარეთ ცხოვრების დაკვირვებას, ხალხის ზნე-ჩვეულების გაცნობას და სხვა.

ამ რჩევაზე ერთმა მათგანმა მიპასუხა: „სიამოვნებით გადასწყვიტავ საზღვარ-გარეთ წასვლას, იქ სწავლა-განათლების მიღებას, ევროპის ცხოვრების დაკვირვებას, ენების შესწავლას, ხალხის ზნე-ჩვეულების გაცნობას, მაგრამ ჩემს სურვილს წინ ელობება ჩემი ნივთიერი ხელ-მოკლეობა, რომელიც მეტად მაშინებს. არა ერთი მაგალითი იყო, რომ მოსწავლე ახალგაზდა, გატაცებული სწავლის სურვილით, ივიწყებდა დროებით თავის შეუძლებლობას

და მისწრაფოდა უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ მალე მის სურვილს ფრთები ეკვეცებოდა და ან უღმობელ ქლექის მსხვერპლი ხდებოდა, ან ნაღვლიანი უკანვე ბრუნდებოდა სამშობლოში. ვფიქრობ, რომ მეც ასე დამემართება, თუ საზღვარგარეთ ვაღწევითე წამოსვლა, რადგან, რაც უნდა იყოს, ცხოვრება იქ მეტი დამიჯდება, ვიდრე რუსეთში; და მერე, იქ რომ გამიჭირდეს, ხელის მოხატვლა არ მოხერხდება, ხოლო რუსეთში ჩვენები არიან; იმათ იმედი მუდამ მექნება და გაჭირვების დროს ხელს გავიმართავ მათგან. ვინიცოხა, სწავლის განგრძობა ვეღარ მოვახერხებ და უკან დაბრუნება მომიხდა, ესეც რუსეთიდან უფრო აღვირლია ვიდრე საზღვარ-გარეთიდან, სადაც, ვინ იცის, გზის ფული მექნება თუ არა!”

სხვებმა მითხრეს, რომ ერთი წელიწადი გვირდა. მასწავლებლად დავრჩეთ, ხოლო ამ დროს შენ ჩახვალ, გაიცნობ იქაურ ცხოვრებას, შემდეგ გვატნობებ და მაშინ გადაწყვეტო მაგ საგანსაო.

ამიტომ სიამოვნებით ვიღებ კალამს, რომ აქაურ მოსწავლე ახალგაზღობის ცხოვრების ვითარება გავაცნო, როგორც ჩემს ამაზნავ ქალებს, აგრეთვე სხვებსაც გახეთ „ვიგორის“ საშუალებით.

ქენევაში არსებობს პანსიონები, სადაც თვითური ხარჯი ყველაფრით 35 მან. დაწვებული 45 მანეთამდის აღის. იქ ყოველივე თავთავის დროზე მზად და შეუწყუბლად მოსდის მოსწავლეს; მაგრამ რადგან პანსიონები თავისის სიძვირის გამო მხოლოდ ბედნიერთა ხვედრია, მე მაზე არ გავაგრძელებ ლაპარაკს. უმეტესი ნაწილი მოსწავლე ახალგაზღობისა ჩამოსვლისათანავე ქირობს ცალკე ოთახს და ბინადდება. უნდა შევნიშნოთ, რომ ოთახები ქენევაში, საზოგადოდ, კარგად არის მოწყობილი: სუფთა, ნათელი, აივნებიანი; შიგ ყოველივე საჭირო ავეჯიულობაა, ქვეშაგები, მისი სუფთა საცალი, პირსახოკი, რომელსაც ყოველ კარა სცვლიან, კედლებზე სხვა-და-სხვა სურათები და სხ. ყოველ დილას სახლის დიასახლისი, ან მისი მოსამსახურე ასუფთავებს ოთახს, ალაგებს ლოგინს, აწყობს ლამპარს, ამაზღებს პირისაბან წყალს და სხ.

ყოველივე ეს თვეში ღირს 5—7 მანეთამდის, ე. ი. თუ ოთახი მორჩილია, ხუთ მანეთად იშოვის ადამიანი, ხოლო თუ სრული, აივნებიანი ოთახია, მისი ფასი 7 მანეთია. რასაკვირველია, არის 10—

12 მანეთიანი ოთახებიც, მაგრამ მე მათზე არ ვლაპარაკობ, რადგან მათი ხავერდ-აბრეშუმეულობით მოწყობილება არაფრის მაქნისია მოსწავლისათვის, რომელსაც სწავლა სწყურია და არა ხავერდ-აბრეშუმეუმი ცხოვრება!

რადგან ახალმა ჩამოსულებმა ფრანგული ან სულ არ იციან, ან-და ძალიან სუსტად, იღებენ ფრანგულ გაკვეთილებს აქაურ მასწავლებელ ქალეზისაგან, რომლებიც სიამოვნებით იძლევიან სათში 20—25 კაპ., ხოლო საუკეთესო მასწავლებელი ქალები 30—35 კ. სასაბუღალტროს მეტი წილი რუსის სასაბუღალტროსა, რომელიც დაარსებულია ამხანაგობისაგან. იქ საქმელებს ამაზღებენ სუფთად, წმინდათ, ვრბოთი. საბუღალტრო ღირს 20—30 კაპ.

გარდა რუსის სასაბუღალტროსა არსებობს მრავალი სხვა დაწესებულება; სადაც ამავე ფასად შეიძლება ისაბუღლოთ. არსებობს აგრეთვე ქალთა სასაბუღალტრო, რომელშიაც მარტო ქალებს შეუძლიანთ ისაბუღლოთ.

დილა-საღამოს მოსწავლე კმაყოფილდება რძიანის ჩაით, ვრბოთი და პურიით, რომელიც აგრეთვე ძალიან იფუდ ჯდება. გირვანქა შაქარი მაგ. 5—6 კაპ., ღირს ქენევაში და რძეც იაფია. საზოგადოების მაგივრად, რომელსაც იშვიათად შეხვდებით ქენევაში, მოსწავლეები ხმარობენ პატარა სპირტის ლამპარებს, რომელზედაც უტეხ ადუღებენ ჩაისთვის წყალს, ან რძეს.

როგორც მკითხველი ჰხედავს, ქენევაში ცხოვრება ძვირი არ არის; არა თუ ძვირი, შედარებით რუსეთის ცხოვრებასთან, სადაც ამ ფასად მარტო ოთახს თუ იშოვი, ძალიან იაფი არის. რად აზვიადებდეს ასე ზოგიერთები აქაურ სიძვირს?! ხშირად გაიგონებ აქ მოსწავლესაგან, რომ თვეში ოცი მანეთი მომდისო, მაგრამ ისე თავდარიგინად ცხოვრებს, რომ ყველაფრისათვის ჰყოფნის.

ახლა ვიკითხოთ, თვით ქენეველები როგორ ექცევიან მოსწავლე ახალგაზღობას? მეტი წილი აქაურ დიასახლისებისა მეტად პატიოსანი ხალხია და ზრდილობიანადაც ექცევიან მოსწავლეებს, რასაკვირველია, მოსწავლეებმა საზღვარს არ გადაცილეს. არიან ისეთი დიასახლისებიც, რომ თუ შეატყვეს, მოსწავლე ღარიბიაო, ან თუ მოსწავლეს თავის დროზე ფული არ მოსდის, არა თუ აწუხებ-

ბენ სახლის ქირისათვის, პირ-იქით, დახმარებასაც უჩვენენ თავის საკუთარს ფულით. მაგ. ერთ მოსწავლეს ქალს სხვა-და-სხვა მიზეზის გამო მთელი სასი თვე კანკეი არ მიუღია სახლიდამ. როცა დაისახლისმა შეიტყო მისი გარემოება, სთხოვა მოსწავლეს, რომ ჩემგან წაიღე ფული და ხელი დაიმართო, აგრეთვე თავის ფულით ჰყიდულობდა მისთვის შეშას, რძეს და სხვა. რასაკვირველია, ბოლოს ყოველსავე მოგთხოვენ, რადგან ქენეველს არ უყვარს ტყუილად ფანტვა, მაგრამ ესეთი დახმარებაც მათგან დიდი საქმეა მაშინ, როცა სამშობლოში არა ერთი მაგალითი იყო, რომ როგორც თვის ფული დაიგივანებდა, ჩვენი დიასახლისები სულს გვიწუხებდნენ მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩვენები იყვნენ და უფრო უნდა თანაგრძნობი ჩვენთვის!

ავიღოთ ახლა ვაჭარი ხალხი. მაგალითად რამე გაკლია და ფული არა გაქვს. ამ შემთხვევაში საკმარისია რომელსავე მალაზიაში მიხვიდე, სტუდენტის ქარტა უჩვენო და წამოიღო, რაც გინდა, ნისიად. როცა ფული გექნება, უნდა გაისტუმრო მოვალე, რასაკვირველია. წვრიმილი, როგორც პური, რძე და სხვ. ხომ ერთი-ორის თვით შეგიძლიან ნისიით ჰხარჯო.—გაკვირვებს კაცს აქაური ხალხის ნდობა, თუმცა არა ერთხელ ეკარგებათ ნისიები. ერთხელ უნივერსიტეტიდან სახლში მოვიდოდი. სიცივე იყო და ხელებზე შემცივდა. ამ დროს სწორედ იმ მოედანზედ გამოვიარე, სადაც პარასკევე-სამშაბათობით იარმუკობა იმართება. თბილ ხელთათმანს თვალი მოვკარი და პატრონს ვკითხე, რა ღირს მეთქი. ერთი ფრანკო!—მიპასუხა. ჩავიყავი ჯიბეში ხელი ფულის ამოსაღებად, მაგრამ ფრანკის მავიერად თან რამდენიმე სანტიმი მქონდა. როცა ვაჭარმა დაინახა, რომ ფრანკი არ მქონდა, მითხრა: ინებეთ და შემდეგ, როცა ამ გზათ გამოვივლით, მაშინ მომეცითო. მეტად გამაკვირვა ასეთმა ქცევამ, რადგან ვაჭარი პირველად მხედავდა მოედანზე და ისიც არ იცოდა, მოსწავლეს ვიყავი თუ არა. მადლობა გადავუხადე და წამოვიღე ხელთათმენები...

აი ასე ექცევიან ქენეველები მოსწავლეებს. მე მგონია, რომ ჩვენი ქალები და მათნი მშობე-

ლნი, რომელინიც ისე აზვიადებდნენ საზღვარ-გარეთ ცხოვრებას, ამ ცნობებიდან ნათლად დაინახავენ, თუ რა ბუნდოვანი წარმოდგენა და შემცდარი აზრი აქვთ აქაურ ცხოვრებაზე.

დასასულ დაგვარჩნია ვესურვოთ ჩვენს ქალებს, რომ ისინი მეტის გაბედულობით, ენერგიით ზნეობრივად და გონებრივად ამალღების სურვილით გამსქეპალუნი შესდგამოდნენ სწავლავანათლების გზას, რადგან ეს ერთად-ერთი და მხოლოდითი საღსარია მათისა და მათ მშობელ ქვეყნის ბედნიერებისა. მხოლოდ საფუძვლიანი გონებრივი და ზნეობრივი განვითარება გამოიყვანს ჩვენს ქალებს იმ არა სასურველ მდგომარეობიდან, რომელშიაც ქალების მეტი ნაწილი იმყოფება დღემდის; ვესურვოთ რომ აღრე და მალე შეეგნოთ ჩვენს ყმაწვილს ქლებს თავისი ინტერესები და ეს ინტერესები შეეერთებიოთ კაცობრიობის ინტერესებთან, მხარში ამოსდგამოდნენ მამა კაცებს საერთო მუშაკობისა და მოღვაწეობის ასპარეზზედ და მათ სათამაშო გასართობო საგნად აღარ დარჩენილიყვნენ! *)

დღარეშული ქალი.



*) ეს „ღარეშული ქალი“ არის შორანის მახრიდან, რომელმაც წარსულ წელში გაათავა იმერეთის ეპარქიის საქალბო სასწავლებელი ქუთაისში. მკითხე საშუალებით გაემგზავრა საზღვარ-გარეთ, შეეიცარიაში და სრულებით არ მოტყუებულა თავის მოღვიქებაში. ეს ქალი მოგვითხრობს ჩვენ შეეიცარიის ქალაქების და ყენევის სიაფხეზე და იქ სწავლის მიღების სიადვილეზე. ჩვენ კიდევ მეტს ვიტყვიო. ოღონდ გაბედული და ბეჯითად სწავლის მსურველი იქნებოდეს თორემ, პარიზისა და ლონდონის ქალაქებშიაც უფრო იაფად შეუძლია კაცმა იცხოვროს, ვინემ ჩვენი სახელმწიფოს ქალაქებში. სწავლის დროს მოსვენებული ხარ კაცი, რადგან უცხოეთში იზვიათად მოხდება ის უწესობა, რომელიც ჩვენში ასე ხშირია. მასწავლებლების სათნაება და კაცთ-მოყვარული მოქცევა მოსწავლეთადმი ხომ დაუფასებელია. სამუშაოხარა, რომ ასე ცოტანი მიღან ჩვენი კუთხიდან უცხოეთში სწავლის მისაღებად... რედ.

*) ფრანკი 371/2 კაპიკია.

წმინდი რედაქციისადმი

გასუთ „ივერიის“ ამ წლის 30 №-ში არის მოთავსებული წერილი თელავიდან ბ. ნადავრელისა, რომლის პირველ ნაწილში შესწული აქვს ქება-დიდება ჩემ-და რწმუნებულის სმირველო სკოლის მასწავლებელს ქანქანს ზ-ვისას (დგე, ადიდის ნათესავმა ნათესავი!) და მეორე ნაწილში ჯავრის ამოსაერთვად მიგვრეული აქვს ერთი სწირებული ამბავი: „ერთმა აჭურმა მღვდელმა, სწერს ბ. ნადავრელი, ნათლობაში ნათლას მანეთი მოსთხოვა და რომ მან ოთხი საბახის მეტი ვერ მისცა, დანარჩენში თუნგი წაართვა“. დასწვევლის დმერთმა უშაკი, რა კავშირი აქვს მასწავლებლის ქ. ზ. ქებას და მღვდლის ძკებებს? მღვდელმა ხომ არაფერში გააჯავრა? არც უამისობა... ცნდაა გრძობამ ნათესაობრავმა აამღვრია წვალი. მე არ მინდოდა ხასუხის ცანკმა ბ. ნადავრელისთვის, ხომ ცაკვირიათ ერთი არავა... მკრამ ეხლა, თქვენის წერილის გამო სჭიროდ დავინახე ხასუხი ცანკე. ახ სჩქე როგორ იყო: ბადლი ჩემს ეკკლესიაში მიიხათვა. მართლდა ნათლამ ოთხი საბახი მოგვცა და თან დატანა ხუმრობით: „ერთი სახსაც ხვალ მოკართმეკით“. ჩვენც გაუხუმრეთ: მინც ბიჭი არს გავთ, თუნგი აქ იყოს და ხვალ წადეთქო. შემდეგ მე სჩქმის გამო გარედ გამოველ და ურთი ადარ მითხრებია მისთვის. მეორე დღეს ეკკლესია რომ გავადებინე, ვახე თუნგი იქ ადგა, მე ვაკითხე: ვისია ეს თუნგი მეტი?—გუშინ რომ ბადლი მოგანათლებეს ამთ დარჩო, —მხასუხს მოსამსხურემ. მე მომკონდა მანინდე და ხუმრობა და ვითხარი მოსამსხურეს დაუთავებულ პატრონისთვის წადო ის. მესამე დღეს მითხრა მოსამსხურემ: „ვხახე პატრონი და კარვად გამომდინდაო, მითხრა, რომ თუ მოკიტანია თუნგი ფეჩებს დგამტერეო“. მე არ დავაჯერე და ვუთხარი, რომ უთუოდ პატრონისთვის ჩაკარებინა თუნგი ვისიმე თანდასწრებით. მოსამსხურე ასეც მოტკეულიყო, მკრამ იმვე სადამოს ვილაც დედა-კაცს მეტრანს და საურდის ეზოში კადმეკელო. მე ვერ გავიგე მათი სეთი სწიქელი რას ნიშნავდა და მხოლოდ მაშინ მივხვდი, როდესაც ნადავრელის წერილმა ამოჭყო თავი ცახ. „ივერიაში“; დაახ, მაშინ კი მივხვდი, სადაც მარხულა ხბოს თავი... მე დარწმუნებული ვარ, ბ. ნ. ხელმძღვანელობით, სჩქმე ჩვენს უწყებაშიც იქნება დწვეული და აღმოჩნდება მაშინ კორესპონდენტის სიპართვად.

ეს პირველი მკალითა არ არის. აქ მთელი სრო არის, რომელმაც ორი წელაწადია შესძრა ზოლიცა, უნდარმერია, სერო და სსუდერო უმადლესი მოკრობა და რომ ვერას ცხდა, ახლა მიმართა ბუჭვლითა სსუჯებას. ადვილი შესძლათა, რომ როგორც სხვა სჩქმეში, ისე ამაშიც თვით ჩემივე ხელტკეობინც იდებინენ მონაწილეობას. ჩვენა ქადაქი ჭკრების ქადაქია და რადგანც ჩემხედ ამ ჭკრებს ადვილი მისცეს ცახეთში, მეც ნებას ვითხოვ მიეცეს ადვილი თქვენს პატონემულ ცახეთში იმ ამბავს, რომ ბ. ნადავრელი, „პატონისნი“ კორესპონდენტი „ივერიას“ არის ის პირი, რომელიც იყო ერთგული ხელტკეობითა. დ. ჯ. იმ დროს, როდესაც მას მხრის სიმართლელომ ჩქმი შეუდგინა... ბ. ნ. არის ის პირი, რომელიც ერთ დროს ითვლებოდა სმის მონატრის მმართვლად (შუა მთისა. თეთრი ციარვისა და ალავერდის) და რა სხირებულ ამეპსაც ავრცელებდნენ მასხედ, ის უპვე ვეველამ კარვად იცის; ეს ის პირია, რომელმაც ერთხელ თ. ი. ჭაკვაძე კორესპონდენტიით მოატყუა თელავი დამიშო და იძულებული გახდა იგი ნილამი აეხადა და გამოეცხადებინა ჩვენს სიტრუის შემტეველი კორესპონდენტის ვინაობა. აქ რომელი ერთი ჩამოეთვალა?

მლ. მ. ხატიაშვილი.

P. S. ეს ხასუხი მე გავუცხენე „ივერიას“ რედაქციას, მკრამ არ დამიბუჭვს და ესლა თქვენ გთხოვთ დამიბუჭვოთ. *) მდ. ხ.

*) ვსარულებით მამა ხატიაშვილის თხოვნას და ვებედავთ მის პასუხს, რაკიუ ნათელს ჰყენს იმ ბნელს, რომლითაც მოცული იყო ბ. ნადავრელის მოთხრობა—თუნგის წართმევის შესახებ. ძლიერ შემცდარნი არიან ზოგიერთი რედაქციები, როცა პასუხს არ უბეჭდებენ ბრალდებულთ, თითონ ისინიც აღარას ამბობენ თავის გასამართლებლად. სამწუხაროდ ზოგიერთი ვახეთები და ვანსაკუთრებები (ივერია), ხშირად აღარ ბეჭდებს პასუხს ვასამტკუნებლად იმ კორესპონდენტისა, რომელიც ერთ დროს დიდის რწმენით სინამდვილედ უცენია რედაქციას. ალბად არ იციან ზოგიერთებმა, რომ ყველას უფლება აქვს ცერზურნი კომიტეტს სთხოვოს და რედაქციის უნებლად დედაბეჭდინოს პასუხი, რასაკვირველია, როგორც და არა ლანდლა-ვინებობი სავსე.

რედ.

სანსტორიო მასალა.

საქართველოს გაერთიანების აზრი

მე-XVIII საუკუნეში (1789 წ.).

იმერთ მეფის სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზედ აღვიდა ბატონიშვილი დავით. ამ საქმემ ვერაფერი სასიხარულო გავლენა იქონია იმერთ დიდებულებზე და ერზე და ან დაიბადა აზრი ქართველებთან შეერთებისა, ერთ მეფობის დაარსებისა. ჰეიქობდნენ მრავალნი, რომ ღრო არის იმერნი ამერთ შეეუერთდეთ და ერთ მეფობისათვის ვიზრუნოთო. ამათ მალე გადასწყვიტეს ამის შესახებ კითხვები და სამეგრელოს და გურიის მთავრებსაც მიმართეს, რომ მათაც გამოეცხადებინათ შეერთების სურვილი. მთავრებიც თანხმობას აცხადებდნენ და ყველა ერეკლე მეფეს ასახელებდა გაერთიანებულის საქართველოს მეფედ. მოხდა კრება იმერთ ერსა და დიდებულთ შორის, მოილაპარაკეს ქართლ-კახეთთან შეერთებისათვის, ითათბირეს, იფიქრეს და მერე გადასწყვიტეს ერეკლესთან კაცების გამოგზავნა და შეერთების თხოვნა. ამათ ამოირჩიეს შემდეგი პირები და გამოგზავნეს ერეკლე მეფის წინაშე დესპანებათ: ეპისკოპოსნი ეფთიმე გენათელი, დოსითეოს ქუთათელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, პატა მიქელაძე, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, სენხია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, იოანე ავაიშვილი, მწიგნობარი კაცი და თანამოაზრე პატრი ნიკოლასი—ქაიხოსრო ჩიჯავაძე და ფიცის კაცი ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ყიფიანი ავალიანი და სხვანი. ყველა ესენი დაფიცებულ იქმნენ ერთგულებაზე და 1789 წ. ჩაბოვიდნენ კიდეც თბილისში მეფის ირაკლის კარზე. ესენი ითხოვდნენ შეერთებას მით უფრო, რომ ერეკლე მეფეს დავითის გამეფება არ ესიამოვნებოდა.

წარსდგნენ რა მეფის წინაშე, ქუთათელმა და გენათელმა მოახსენეს შემდეგი:

—დიდებულო მეფეო! რადგანაც თქვენ არ გესიამოვნათ იმერეთში დავითის გამეფება და იგი ტახტის მიმტაცებულად აღიარეთ და იმერთა ერთი ასევე ჰხადის მას, ამიტომ მოგმართავთ თქვენს დიდებულებას და ვითხოვთ შეერთებას და ერთ-მეფობას და ერთ-მთავრობას. მთელი იმერეთის ერთი მუხლად დავითს და ერთგულის ფიციით გიცხადებენ, ვთხო-

ვენ და გემუდარებიან, რომ ინებოთ იმერეთი და შეერთოთ, თხოვნა ერთობისა სასიხარულოდ მიიღოთ. როგორც იმერეთის ერს, ასევე სურთ გურულთა და ოდიშურთა. ჩვენ მიმოვლეთ მთელი იმერეთი, ყველას ფიცი და სიტყვა ესთხოვეთ, ყველამ სიამოვნებით მიიღეს. დადიანი და გურიელი ნატვრას აცხადებენ. მთელს ერს სწყურის ერთობა, ერთი მთავრობა და ერთი მეფე ისევე, როგორც ძველად გყოფილართ. მღვდელ-მთავარი ამისთვის ეკლესიაში პარაკლისებს იხდიან, ლოცვენ ერის კეთილ აზრს და იმედოვნებენ შეერთების სისრულეში მოყვანას. ეს საქმე და ამბები გლცხებმაც იციან და მათ დიდ სასიხარულოდ მიაჩნიათ ქართლ-კახეთთან შემოერთება, თქვენი მეფობა და სახელი. ჩვენი შეუერთებლობა არ შეიძლება, რადგანაც მრავალთა წელთა გამოცდილებამ გვაჩვენა და გვასწავა ძალი ერთობისა, ძალი ერთ-მთავრობისა და ერთ-მეფობისა. ოდესაც ვიყავით ერთნი, ვიყავით ძლიერნი სულითა, მკლავითა, სიმდიდრითა, ოსტატობითა და ხალხითა, როცა დავკნინდით და დავირღვენით, მაშინ დავეციით მთლად და დავიქცენით, აწ უფრო უარესად დავიქცევით, თუ არ ვიზრუნეთ ერთობისთვის, ქვეყნისთვის, ერთ-მეფობისთვის და ერთ-მთავრობისთვის.

ამათ შემდეგ სარდალმა ალექსანდრე წერეთელმა მოახსენა:

—დიდებულო მეფეო, იმერეთი ძღვნად სწირავს თავსა თვისსა თქვენს დიდებულების წინაშე, შეგვიერთეთ და განვძლიერდეთ მით, წელიწადი ორ საყოფელ ღროთ გახადეთ, ხან ტფილისს ბრძანებოდადეთ და ხან ქუთაისს—იმერეთს. შერიცხეთ ქვეყანა ჩვენი თქვენს ქვეყანად, ერთი თქვენს ერად, თავი ჩვენი თქვენს მსხვერპლად და ყოველივე თქვენს წილ-კერძად, თქვენს საკუთრებათ და ზვარაყად. მთელი იმერეთის ერთი სიხარულით და ნეტარებით მოვილის ამ საქმის შესრულებას და მუდამ დღე ელიან პასუხის შეტყობას.

ბევრი კიდევ სხვა კითხვები მოახსენეს დესპანებმა მეფეს და არწმუნებდნენ ერთობის სარგებლობას და საჭიროებას, მაგრამ მეფემ პასუხი არ მისცა. მოახსენა, რომ სამეფო კრებას დავნიშნავ, თხოვნას განვიხილავთ და პასუხს მოგცემთო.

მართლაც მალე დანიშნეს სამეფო კრება, შეიკრიბნენ სამეფო პალატში კათალიკოზი, მღვდელ-

მთავარი, თავადნი, სარდალნი, სახლთ-უხუცესნი, მდივან-ბეგნი. აქვე წარსდგნენ იმერთი დიდებულინი და განიმეორეს იმერთის ღრის თხოვნა. მოხსენების შემდეგ დაიწყეს საუბარი და სჯა. დიდებულთა კრება ორად გაიყო. ერთნი ითხოვედნენ ერთობასა, უმეტეს კახეთის თავადშვილები და მეორენი კი არღვევდნენ შეერთების აზრს, უმეტეს ქართლის თავადობა... მეფე განმარტოებულ იქნა და დიდებულთაგან ელოდა პასუხს და განჩინებას. დიდებულთა შორის ამბობება მოხდა. ერთობას დაუყოვნებლივ ითხოვდნენ ქაბუა ორბელიანი, დუცალ ბარათაშვილი, სოლომონ მსაჯული, პატრი ნიკოლა, დოსითეოს ნეტარსელი და სხვანი. უკანასკნელ ქაბუა ორბელიანს მიემხრნენ თვით საქართველოს პატრიარქ-კათალიკოზიც, ზაქარია ანდრონიკაშვილი, სარიდან ჩოლოყაშვილი, იოსებ ბარათაშვილი და სხვანი. ამათ შექმნეს საუბარი და თხოვნა ერთობისა და იმერთა დიდებულების თხოვნის შეწყნარება. მეფემ სდუმნამ ამ დროს ბრძენი ქაბუა წარსდგა წინაშე მეფისა, აღიმაღლა ხმა ქუხილის მსგავსად და მოახსენა მეფეს და ერს სიტყვა ერთობისათვის ასე:

—მეფეო და დიდებულნი! ქართველთა ერთობას ღმერთს ავედრებენ მრავალნი, ამის ვედრებაში არიან თვით ჩვენთა მამათა და პაპათა ძეაღნი, ქართველთა ერთობას ცხარეს ცრემლით ავედრებენ ღვთის-მშობელს და ქართველთა წმიდათა დედანი წმიდა ნინო, ქეთევანი და სხვანი, ქართველთა ერთობას ითხოვენ ის დიდებულნი მეფენი ქართველთა, რომელნიც ოდესმე საქართველოს ერთობისთვის დახოცილან, რომელთაც ქართველთა აღუდგენიათ დიდება და სახელგანთქა ერთვითა, რომელნიც საქართველოს ერთობისთვის ვამებულან. აწ ღმერთს შეუწყნარებია ასეთ პირთა მუდარება, მაღალ ღმერთს კურთხევის თვლით გადმოუხენდნია ჩვენზე და იმერთა ერისთვის თავში ჩაუსმენია და ჩაუნერგავს აზრი ერთობისა და სიყვარულისა. იმერთა აზრი არის ბრძნული და დარბაისული, საქები მრავალთაგან, კურთხეული ღვთისაგან, მოსაწონი ყოველთვის და ყველასაგან, სასარგებლო ქვეყნისთვის, ერისთვის და მერმისის ჩვენის ცხოვრებისთვისაც. ნუ ჰყოვნებ და ჰქმუნავ მეფეო, ბრძენთა და დიდებულთ უთქვამთ, რომ მეფე ერისათვის და არა ერთი მეფისათვისო. იმერთის პატივცემულნი მღვდელმთავარი თქვენს წინაშე ლოცვა-კურთხევით სდგა-

ნან, ერთი იყრის მუხლს და ითხოვენ ერთობას, ერთ-მეფობას და დაკავშირებას. მეფე როგორ გაბედავს და იტყვის დაკავშირების უარს, ერთობის უარს, ერთ-მეფობის და ერთ-მეფობის! რა გვარ და რაფერ არ მიიღებს მაღლით სასვე თხოვნას, ბრძნულს აზრს, ძმურს თხოვნას ძმობისთვის...

მეფე მკმუნვარება და უთანხმოების ნიშნებს აჩენდა. ქაბუამ განაგრძო:

—თქვენი აზრები კარგად ვიცი და მესმის, მეფეო! მაგრამ თქვენ არ შეგვეფერებათ ეგეთი მოსაზრება; ეგეთი დუმილი და ზრახვა ქვეყნისთვის გვირგვინსანს არ ეკადრება. ეგ დუმილი არ არის ქვეყნისთვის სასარგებლო; ეგ იქნება დამლუპავი იმერთა, დამლუპავი ქართველთა, ნუ ჰყოვნებთ, მძანეთ სიტყვა: ვერ ბედავთ თუ ვითარ მოულო ტახტი იმერთა მეფობისა? როგორ მოუღეთ ბოლო ქართლის მეფობას, ქართლის დიდებულთა და მეფეთა, რა დაკარგა საქართველომ ამითი და რა იზარალა? როგორ მოუღეთ ბოლო მეამბოხე არაგვის ერისთავთა, მეამბოხე ქსნის ერისთავებს და სხვებსაც მრავალთა? ქვეყნისა და ერის ბედნიერება ითხოვს ერთობას, ერთ-მეფობას, სიყვარულს და დაკავშირებას...

მეფემ უარი განაცხადა, რადგანაც წინა დღით დარეჯან დედოფალს ეცდუნებინა მეფე. ახლა წარსდგა ალექსანდრე წერეთელი და მოახსენა:

—დიდებულო მეფეო, იმერთის ერთი დიდი და მცირე გრძნობენ ერთობის საქიროებას, ერთ-მეფობას და ამიტომ ითხოვენ ერთობასა. ჩვენ, მოსულნი თქვენს წინაშე, ვითხოვთ ერთობის შეწყნარებასა, თუ არ ისურვებთ ერთობას, მაშინ თქვენი შვილი იულონი მაინც გვებოძეთ, რომ იმერთის ტახტზედ მეფედ დაესვათ. ამით ხომ არაფერი დასაფიცება, ნახეთ ერთობის ძალა, მიიღეთ ჩვენი გვირგვინი და ტახტი, განძლიერდით ჩვენი და განგვძლიერეთ თქვენი. გარწმუნებთ, მეფეო, რომ ოდესაც გვექმნება ერთობა, მაშინ მტერი ვერას დაგვაკლებს, მაშინ ჩვენს ქვეყანას უფნებლად მოგუვლით. ერთობა ანგრ-იმერთა სასიამოვნოა დიდოფლისთვის, თვით დედოფალმა მოგვცა ამის დასტური, თვით მან ბრძანა იმერთ შეერთების სურვილი, უკეთუ იულონს ინებებთ მეფედ და მოსტყვით მეფობასაო.

(„მოგზაური“)

(შემდეგი იქნება)



«მწეხმის» კორამსპონდენციები.

(იალტადან).

1902 წლის თებერვლის შუა რიცხვებში, ქ. მოსკოვში მოხდა მთელი რუსეთის მეღვინე-მეყვინებელურენთა კრება (СНХДТ). კრებაზე იყო აღძრული ბევრი სხვა-და-სხვა კითხვები, მაგრამ უფრო საინტერესო და საჭირო იყო სამი კითხვა: 1) როგორი უნდა იყოს საეკლესიო ანუ საზედაშე ღვინო (Церковное вино)? 2) ფალსიფიკაცია ღვინოებისა, მასთან ბრძოლა, თუ რა ტიპის (სახის) უნდა იყოს ნამდვილი ღვინო? 3) ჩვენს მეღვინეობის კრიზისი და მისი გაუსაღებლობა.

საეკლესიო ანუ საზედაშე ღვინო, როგორც გვიჩვენებს საეკლესიო კანონი, უნდა იყოს ნამდვილი, ბუნებრივი ყურძნის (ვახის) ღვინო, უნდა იყოს ტკბილი, სასმელად საამო; არ უნდა ერიოს მასში არაერთი გარეშე ნივთიერება, თუ არ ყურძნისგან წარმომდგარი. აი ამგვარ ღვინოს თხოვილობს საზედაშე უწოდეს სინოლი. ამგვარმა მოთხოვნილებამ კი ძლიერ დააფიქრა მეტადრე ყრიბელი მეღვინეები: როგორ უნდა გააკეთონ ისეთი ღვინო, რომ მის გემოს და სიმარის მისაცემად არ მიმართონ გარეშე ნივთიერებათ. დღეს ჩვენს ტკბილი და მაგარი ღვინოები, თითქმის შეზავებული ყველა შეზომილი პროცენტებით— $\frac{1}{10}$ სპირტით, ან ტკბილით. ღვინოები მაგრდებიან ან ღვინის ან პურის სპირტით. სპ. კანონში კი არ არის მოხსენებული არც ერთი და არც მეორე ღვინის შესამარებლად. ამის გამო ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია კრებულთა შორის: წინააღმდეგი იქნება, რომ შევამაროთ ღვინო ღვინის სპირტით? ბევრი წევრი და დადგა მხოლოდ კანონის მოთხოვნილებას, მაგრამ უმეტესმა ნაწილმა მაინც გამოთქვა ის აზრი, რომ არაფერი წინააღმდეგი არ იქნება, ღვინის სპირტი შეურბოთო, რადგან ღვინის სპირტი ისევ ყურძნისგან არის წარმომდგარიო და შეტკობაც ადვილი იქნება ყურძნის ტკბილითო. დიდი სჯაბასის შემდეგ გარდაწყვეტილ იქმნა შეზავებლობა უწ. სინოდთან—ნება მიეცეთ მაგარი ღვინოების შესაზავებლად სპირტითა და ტკბილით, რადგანაც ყურძნის შაქარი ძნელი მოსაპოებელია. გარდა ამისა,

კრებამ სთხოვა უწ. სინოდს, რომ თვით მას მიეღო თავის თავზედ სარდაფების გახსნა და საეკლესიო ღვინოების გაკეთება, მაგრამ, როგორც გავიგეთ, ამაზე სინოდმა უარი განაცხადა, რაცა მოსალოდნელიც იყო. სინოდის მხრივ ასეთმა უარმა წარბი გაუხსნა ზოგიერთ აქაურ მემამულეებს, ხუმრობა საქმე იყო? რომ სინოდს ეს საქმე ეკისრნა, უდროოდ უნდა დაეკეთათ თავიანთ სარდაფების კარები, რადგან ამით მათ შოკლდებოდათ ერთი დიდი ზახარი და ჩავარდებოდადენ საგონებელში.

მეორე კითხვამ, საფლდობ ღვინის ფალსიფიკაციამ და მასთან ბრძოლამ, არა ნაკლები ფართო ადგილი დაიკავა. პირველი და მაგარი ცენტრი ფალსიფიკაციისა არის თვით ქ. მოსკოვი და მისი ახლო-მახლო ქალაქები; სხვაგანაც ბევრია, (ჩვენშიაც კი), მაგრამ ისეთი დახელოვნებული სპეციალისტები ღვინის სივალბეში, როგორც მოსკოველები არიან, ძნელი მოსაძებნია.

საეკლესიო ღვინო («Церковное вино») პირველად დაიბადა და მოინათლა მოსკოვში, მეტოლდესში, ნიენინოვგოროდში და დონში; მანამდის კი ეს ღვინო, სადაც დიდ-ძალი ვენახებია, არსად მოხსენებული არ ყოფილა. ჩრდილოეთ რუსეთის გუბერნიებში ტკბილი ღვინო არ მოდის და თუ მოჰყავთ, შეიძლება ყველაფრად ივარგოს, მაგრამ ტკბილ სასმელად კი არა. ყურძენი ანაირ ადგილებში ცოტა შაქრიანია, ასე სიტკობ ავა 10—15 $\frac{1}{10}$ -მდის, ყირიში კი—30—60 $\frac{1}{10}$ და მეტზე. პირველ შემთხვევაში შეგვიძლია გავაკეთოთ რიგიანი სასმელი ღვინო; ტკბილი და მაგარი ღვინის დაყენება, იქაურ მემამულეებს ხელს არ მისცემს. აი ამისთანა ქვეყნებში ჩნდება სწორედ ღვინის ფალსიფიკაცია. ასეთ ცოტა შაქრიან ღვინოს*) შეურევენ ბლომათ ჩვეულებრივ შაქარს, შეურევენ აგრეთვე სპირტს და გამოჰყავთ ღვინო ტკბილი და მაგარი ღვინის პირ-ბალით. ამნაირად მომზადებული ღვინო არ არის რიგიანი. როგორც გავსინჯავთ, თუ გემო განვითარებული გვაქვს, მაშინვე ვიგრძნობთ, რომ ზედმეტი გამოდის ან სპირტი ან შაქარი და ან სიმყავე ღვინისა. ღვინო კი უნდა იყოს სწორი, სავსე და ცოცხალი. ფალსიფიკაცია თავის

*) 1 გრამი შაქარი გადალუღებაზე იძლევა 0,6 გრამი სპირტს.



მზრივ ამის მიხედვით იკვლევს გზას. ფალსიფიკატორები ისეთ ნივთიერებას ურევენ ღვინის თვისების დასაფარავად, რომელსაც დღეს ქიმიკ-ლაბორანტები ვერ აგნებენ და ვერ იკვლევენ.

დიდ ექვევს ზადავს აგრეთვე ბოლოებზედ მიწებებული ქაღალდები (ატიკეტი). ამაზედ მეტი რაღა იქნება, როდესაც შუა ღვინი სასვე ბოთლს ამშვენებს გარედან მიკროული ლამაზი ქაღალდი ამნაირი ზედ წარწერით: „ЧISTOE НАТУРАЛЬНОЕ ВИНО“ (წმინდა ბუნებრივი ღვინო). ასეთი დამშვენებული ღვინოები, როგორც უფრო იაფი, რასაკვირველია, მალე იშორილივინ ბაზარს, ხალხიც მალე ეჩვევა (რადგანაც ისიც მალე ჰკარავს ნამდვილ ღვინის გემოს) და ჩვენი მართლა ნამდვილი ღვინოები კი რჩება ჩვენს სარდაფებში!.. რა ექნათ აქ? გავლილო ჩვენც იაფად, მაშინ ნაშრომი თავისას ვერ იღებს. ასეა თუ ისე მინც ფალსიფიკაცია მიდის წინ. კრებამ ამაზედ ბევრი იმუშავა, მაგრამ ამის მოსახზობად მინც ვერ გამოხაზა რადიკალური საშუალებანი, დააღა ისევ შუამდგომლობას: 1) დაარსდეს კავკასიაში სპეციალური მეღვინეობის სკოლა. 2) თხოვნა საუფლის-წულოა გამგეობასთან—დააარსონ ლაბორატორიები, სადაც უნდა იკვლეოდეს ღვინო. 3) დაარსდეს საცდელი მეღვინეობის სადგურები. 4) მალე შემოვიდეს ჩვენში (კავკასიაში) კანონები ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. 5) იკვლეოდეს ღვინო ერთგვარი მეთოდებით.

მესამე საკითხს შეადგენდა ჩვენი დღევანდელი კრიზისი, ან ღვინის გაუსავლელობა და მისი სარდაფებში დაგუბება. ერთ კრიზის ხელ-შემწყობ მხარედ ჩაითვლება ღვინის გაგზავნა-გამოგზავნის სიძვირე; იშუამდგომლა კრებამ, რომ ამაზედ ფასი დაეკლოთ. კრებამ ითხოვა ავრეთვე, რომ გასაგზავნი ფასი ერთი აიღონ როგორც ბოჭკებზე, ისე ბოთლებზედაც, ხშირად ხდება, რომ ზამთარში გაგზავნილი ღვინო, ევგონებში რამოდენიმედ ჰკარგავს თავის თვისებას ტაროსის ცვლილების წყალობით, ამიტომ ზოგიერთი ვაჭრები ისევ უკან უბრუნებენ მეღვინეებს თავიანთ ღვინოს, როგორც წამხდარს, ამ მოვლენის ასაცილებლად კრებამ ითხოვა რკინის გზის მთავრობასთან—ვათბოს ზამთარში საწყობი ევგონები ისე 10°R-მდის და იგზავნებოდეს მომეტებული სისწრაფით. აღიძრა შუამდგომლობა იმის შესახებაც, რომ მეღვინე-მემამულე-

ლეს ნება მიეცეს ხაღოს სპირტი ანუ ორნახად არაყი (ректификованный спирт) თავიანთ ღვინოების შესამაგრებლად. თუ ეს შუამდგომლობა მართლა შეწყნარებულ იქნა, მაშინ მემამულეების საქმე წაღმა წავა; დღეს დღეობით ღვინის დასპირტაცოტა საძნელოა: ერთი რომ ნაყიდი სპირტი ძვირად, მეორე აკციზი უნდა დაისწრო, რომელმაც უნდა შეამოწმოს, თუ რამდენზედ სპირტავ ღვინოს. ამ სიმაგრის 1/10 მიხედვით იწერება გადასახადი. იშუამდგომლეს, რომ ნება ჰქონდეთ მეღვინეებს უაკციზოთ შეამაგრონ ღვინო 20°-მდის.

ერთ დიდ მტრად ვენახისათვის უნდა ჩაითვალოს თვით ბუნების მოვლენა—სეტყვა. მეტადრე ჩვენში, სწორედ იმ დროს, როდესაც ვენახს ბლომით აბია, მწიფდება კარგად, შეჰხარის გაოფლიანებული მუშის გული, დაჰკარავს სეტყვას და უტეხვანადადგურებს, მაშინ ხომ მშვიდობით მთელი წლის მოსავალი! მაგრამ ამ ხანების ციცილიზაციამ და უფრო ტენიკამ და ელექტრონმა მოიომეს გარშემო შესამჩნევად სამოქმედო მოედანი. საფრანგეთში პირველად დაიწყეს ამ ბუნების მოვლენასთან ბრძოლა; შემოიღეს ზარბაზნის მაგვარი სასრული იარაღები (мортиры), როცა დაინახავენ სასეტყვეო ღრუბელს, ესერიან, განფანტავენ და ასე აიცილებენ ამ რისხვას. შუამდგომლობა გოგოლ-იანოვსკის წყალობით, რომ ჩვენშიაც დაარსდეს ამგვარი სასრული სადგურები სადაც ვენახებია, მაგრამ, რადგან თოფის წამალი და მისი მოწყობილება ძნელი საშოვარია, ამისათვის ითხოვეს—მიეცესთ ნება მიიღონ ეს მასლა მახლობელ სამხედრო გამგეობიდან.

ამნაირად მთელი კრება მუშაობდა მხოლოდ იმაზედ, თუ როგორ და რა იშუამდგომლონ. ისიც უნდა შეენიშნოთ, რომ მთელი ეს რუსეთის მეღვინე-მემამულეობა კრება სასწორს ხრიდა უფრო ყირიმის მემამულეების სასარგებლოდ; რაც შეეხება კავკასიის და ბესსარაბიის მემამულეების ჰირ-ვარამს, თითქმის არაფერი უთქვამთ. ამ კრებაზედ ყირიმიდან იყენენ წასული 50—60 მეღვინე-მემამულენი, კავკასიიდან და ბესსარაბიიდან 5—6; რასაკვირველია, ბევრი ცოტას დასძლევს. ამნაირ განკერძოების გამო ბესსარაბილმა მეღვინეებმა პროტესტი შეიტანეს თავსმჯდომარესთან, რომ ჩვენ სულ ტყვილა დაგვიბარეთ აქ და არ გვალაპარაკეთო; ეს წინადადება თავსმჯდომარემ მიიღო სახეში, მაგრამ



გვიან, იმ დროს, როდესაც კრება უკვე დაიხურა. ამ ნაკლის შესავსებად და სხვა კითხვების განსამართავად ნიშნენ მეორე დიდ კრებას 1903 წ., მაგრამ მოსკოვში კი არა, — ოდესაში. ენახათ, აქ რა გავგიკეთდება.

სასურველია, რომ ამ კრებას ჩვენის მხრიდან ბევრი დაესწროს, ხმა აღიმართლოს და მედენობისათვის წინ გზა გაიკაფოს; წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი გაკეთდება. ვინ გაიტყის ჩვენი გულისათვის თავს, თუ ჩვენც არ ვიმოქმედეთ?

კოლრატი ვაბიჩვაძე

ან და გადასცენ ტფილისში შემდეგ რედაქციებს: „იერიას“, „ცნობის ფურცელს“, „კვალს“ და „მოგზაურს“, ბ. ჩხარტიშვილს (რკინის გზის სადგურზე); ქუთაისში: მ. გველესიანისას, მიტროფანე ლაიძეს და ვ. ბეჟანეიშვილს. ბათუმში: ნატალია მეტეაძეს, დ. კლდიაშვილს და რ. კახიანს (სასტუმრო «ფრანკია»). ფოთში — ფანცხავას.

წრეს სრული იმედი აქვს, რომ სხვა ქალაქებსა, დაბებსა და სოფლებშიაც მოინახებიან იმისთანა პირები, რომელნიც არ დაიშურებენ ამ საქმისათვის შრომას.

გამგებია.

მიუხეხი (გერმანიაშია). სახლვარ-გარეთ მყოფ ქართველებთან შეთანხმებით მიუხეხნიში დაარსდა წრე, რომელსაც მიზნად აქვს ხელი შეუწყოს ჩვენს ხალხში თვითცნობიერების ამაღლებას. თავის წადილის განხორციელების გზაზე ის აპირებს ესაუფესო თხზულებები (და ბ) დაბეჭდოს ღია, ბარათებზე (ფოსტის) ჩვენი მწერლები, მსახიობები, სხვა-დასხვა მოღვაწეები, ძველი ნაშთები, შესანიშნავი აღგილები, როგორც ბუნების მხრით, ისე ისტორიულადაც.

ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობას და ყოველგვარ სამხატვრო სამუშაოს იღებს თავის თავზე ჩვენი ახალგაზდა და ნიჭიერი მხატვარი ტ. მომცელიძე სრულიად უსისყიდლოდ. წრეს დამზადებული აქვს აუარებელი მასალა, მარა ხელ-მოკლეობის გამო, არ ძალუძს თავისი მიზნის განხორციელება. ამის გამო მიმართავს ის ჩვენი ხალხის ყველა გულშემატკივართ იმ იმედით, რომ ისინი სრული თანაგონობით მოეკიდებიან ამ საქმეს და ნივთიერი დახმარებით გაახორციელებენ მის მიზანს.

თანახმად თავის უმთავრესი მიზანისა წრემ დაადგინა სურათები გამოსცეს რაც შეიძლება იაფად და სულ მოკლე ხანში; ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი თანაგონობით მოეკიდება ამ საქმეს ჩვენი საზოგადოება.

ყოველი შემოწირულება აღინიშნება თავ-თავის დროზე ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, აგრეთვე ყოველი ხარჯიც დაწვრილებით. წრე უმორჩილესად სთხოვს ამ საქმის თანაგონობით თვითნატი წვლილი გამოგზავნონ შემგვი ადრესით: München (Germania) Herrn T. Momzelidse. Georgenstr. 62 III. L.

ს. შიავარ-ანგელოზი (ძველი ოფეთი. ქუთ.

მავრაშია). ხსენებული სოფელი შეეცავს 70 კომლს, მაგრამ გამოტეხილი უნდა ესთქვათ, რომ ყოველივე მხრით დაქვეითებულია ეს პაწია სოფელი — განსაკუთრებით მეტად დაცემულია იგი ეკონომიურად. ამ სოფლის ასეთი ჩამორჩენის ერთადერთ მიზეზად ისიც ჩიითვლება, რომ არ არის დაახლოებით ბაზარი, მცხოვრებლებმა ვაიტანოს რაიმე ჭირანხული, გაყიდოს და ორიოდე გროში შეიძინოს. მიუხედავად ამისა, ამ მცირე და ღარიბმა სოფელმა ააგო ექვსი წლის წინეთ თლილი ქვის ეკლესია ერთ გუმბათიანი. მაგრამ ასეთი დიდი საქმის ხელის მოკიდება ამ პაწია სოფელს გააბედინა მცხოვანმა მოძღვარმა მღ. მ. ლუკა ჩაჩუამ; ამ ღირს საქმეში მან გამოიჩინა დიდი მამაკობა როგორც ნივთიერად დახმარებით, აგრეთვე მუშაობის მრევაც. ვაგიკვირდებოდათ რომ დაგენახათ ეს მოხუცი მოძღვარი შუა მუშებში ჩამდგარი, რომელიც ეზიდებოდა თავისი ზურგით ქვებს, აწოდებდა ოსტატებს კერს, აწნევენებდა თავის მოწაფეებს, არ აძლევდა მოსვენებას ხალხს ამ საუკუნო საქმისათვის; ერთი სიტყვით, დღე და ღამე გავრთებული იყო მისთვის. ამ განუწყვეტელი შრომითა და ოფლის ღვრით მ. ლუკამ გააბედვია და შეაძლებინა ამ პაწია სოფელს — თავის სამრევლოს — აშენება ხსენებული ეკლესიისა და ეხლა ცდილობს იგი კანკლის გაკეთებას. გარდა ამისა, მან დაარსა სამრევლო შკოლა, სადაც ეხლა სწავლობს 20—30 ქალ-ვაჟი.

ღმერთმა აღდგერძელოს ეს მამაცი მოძღვარი და ვისურვოთ, რომ მრავალი წამბაძეღნი აღმოჩენოდეს მას.

ფილიპონ ცინცაძე.



ბრძენ კაცთა გონების სჯილადან.

ღამისა ზარი-სსხე სუსტი გონების თავთ იგვეა, რაც ქართველს მართული თათის ფედრალად კედლებით.

ქმარი არის თვისი ცდელის ოფიციალური მდივანი, რომლის ფორმულიად დავითრებაში იწერებათ ცდელის სამწესრო შემთხვევები და ის როგორც მდივანი, ინსასეს მას საიდუმლოდ.

უნდოთ კაცის ცხოვრება შეიძლება შეადაროს კაცმა ძლიერ მბრწყინავ ვარსკვლავებს, რომლებიც ჯერ ოდნავ ბუჩქავენ და ნელ-ნელა ციმციმებენ ცაზედ, მაგრამ ბოლოს კი ჭქრებან ცის წყვდავლაში.

მამს არ შეუძლია განხუმოს მტირალი ბავშვი, ხლო დედას კი, მამსადაც დედას და შვილს შუა უსთოდ არის რაიმე მსგავსება.

ინტელიგენტი დიდის სამოყნებით ისმებს, როგორ ამოვიტყოს მის ამსანჯას და ერთი სხათის შემდეგ კი, მის უფიქრება მობაშა.

ნუ გაშინებს მომავალი, თუ აწმოთ გაქდაის რაიმეს, რადგანაც აწმოთ წარსულთან ერთად—მომავალა.

სეინადისიერ შრომას არასოდეს არ მოეკება ცუდი ბოლო.

ზნეობრივი ქენჯნა არის მდრფენელი მატლია, რომელიც უმოკლესს კაცს სიღვრესეს.

გატაცება არის სლათას ძილი; ბედნიერია ვინც ადრე გაიღვიძებს.

ნუ დასცინი კაცის ნაკულეკენებას, თუ მასში არ არის დანამულობა.

იქ, სადაც კაცი არ არის, იუაგი შენ კაცად.

გულ-მოსულ კაცს არასოდეს მასწყვლებლობა არ შეუძლია.

ვევლა, ვინც ზატვიფიკარებათ ეძიებს თავის სსხელის ამადლებას, იგი დამადლებს მას.

ახალი ამბები და შენიშვნები.

* * * პარიჟში ამას წინად პოლიციამ დააბატონირა ერთი გაიძვერა, რომელიც თავის თავს «ახალ მესისას» ეძახდა. ეს ვაქებატონი წინაწარმეტყველებდა, არჩენდა ყოყლგვარ ავადმყოფებს და სამაგალითოდაც, აცალიერებდა გულ-უბრყვილო კაცებსა და ქალების ჯიბეებს. ორის თუ სამის წლის განმავლობაში ამ კაცმა ასეთის „მესისობით“ 200,000 მანეთი შეიძინა. ხუთის წლის წინად ეს „წინასწარმეტყველი“ მუშად იყო. მუშაობი მალე იზოყნა ამ მუშამ და არ გასულა დიდი დრო, რომ „ახალი მესისა“ მშენიერ სასტუმროში გადასახლდა და მდიდრულად ცხოვრებას შეუდგა, ყოველ დღე დიდ-ძალი ხალხი იკრიბებოდა იმის სახლში; ზოგი განკურნებას დაეძებდა, ზოგი მომავალის ვაგებას, ზოგი კიდევ სიზმრების ახსნას. მოხერხებული მესისა ყველას აკმაყოფილებდა, ყველასთვის მზადა ჰქონდა წამლები. დაპატიმრებული მესისა გამოტყვილა, რომ ზოგიერთ ჩემ მუშტარს თითო ვიზიტი 500-დგან 5000 ფრანკამდე ვართმევდო. ერთ მანდილოსანს სამ «ვიზიტისათვის» 50,000 ფრანკი მიუტია. თუ ეს ხდება საფრანგეთში, ჩვენ მკითხვებზე რაღა გვეთქმის...

* * * მთავარმართებლისაგან გამოცემულის სავალდებულო დადგენილებათა ძალით, ტფილისის პოლიციეისტებმა აუწყია ყველა ბოქაულესს, ნება არ მისცენ ხალხს ქალაქის განაპირას შეკრებისა და ქილაობის გამართვისა. ესევე სთხოვა ბ. ტფილისის მაზრის უფროსს, ზომები მიიღონ ხალხი არ იკრიბებოდეს ქალაქს ახლო.

* * * მოკლე ხანში ვლადიკავკ. რკინის გზის მმართველობა შეუდგება შვიი-ზღვის ნაპირა რკინის გზის კეთებას.

* * * კვირას ნაძალადევი აკურთხეს და გახსნეს ქალების საკვირაო სკოლა. სკოლაში ამ თავიდანვე სიარული დაიწყო 70 მოსწავლემ. ვლსურვებთ საქმის მეთაურთ სრულს გამარჯვებას.

* * * საქართველოს ეგზარხოსს, მაღალ ყოვლად-უსამღველოესს აღექვის, განზრახვა აქვს აღძრას შემამდგომლობა უწმინდესის სინოდის წინაშე, ნება დაერთოს ტფილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას, პირველ კლასში მისაღებად გამოც-



და სასულიერო სასწავლებლებში კურს დამთავრებულითა მოახდინონ ხოლმე მისის გასულს და არა ავჯიტოში, როგორც აქამდე იყო. ამ გარემოების წყალობით, სემინარიის პირველს კლასში მომავალში უფრო ბევრს მოწაფეს მიიღებენ, ვიდრე აქამდის, ამასთანავე აცილებული იქნება შვირდების დაღალვა-დაქანცვა დათხოვნილებში გამოსაცდელი ეგზემენების გამო სემინარიაში შესასვლელად.

შვირდების განკარგულება და ღმერთმან ინებოს ეს შეუდგომლობა აღსრულებულიყოს.

* საქართველოს ეგზარხოსის განკარგულებით, 18 მარტს თელავში გაიგზავნა ტფ. სასულიერო სემინარიის ახლად დანიშნული ინსპექტორი ბ. დობრონრავეცი, რათა დაწვრილებით რევიზია მოახდინოს, როგორც არის მოწყობილი თელავის სასულიერო სასწავლებელი და სწავლა-განათლების საქმე. სემინარიის ინსპექტორის თანამდებობას დროებით ასრულებს სემინარიის მასწავლებელი მახათაძე.

* გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს ორმოცი წლის ეპისკოპოსად ყოფნის აღსანიშნავად ტფილისის სასულიერო სემინარიის მმართველობამ დაადგინა, სემინარიის დარბაზი დაამუშენოს ყოვლად სამღვდელოს სურათით, როგორც ამ სემინარიის უძეგლვისი, — 1845 წლის — მოწაფისა.

ყოვლად სამღვდლომ ალექსანდრემ, რომელსაც ეს გარემოება მოახსენეს, მალღმა გამოუცხადა სემინარიის სამმართველოს და ორასი მანეთი შესწირა სემინარიის წიგნთსაცავისა და სამკითხველსათვის.

* ტფილისის გუბერნატორმა ცირკულიარით მიმართა ტფილისის პოლიცემისტერს და მავრის უფროსებს, მიაქციონ ყურადღება სამსახურის გამო მიწერ-მოწერას, რაც შეიძლება, მოკლედ და უბრალოდ იყოს, მხოლოდ აზრიანად. ამასთანავე ძველი გაცვეთილი ფრაზები „მაქვს პატივი მოგახსენოთ, მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ“ და სხვა ამ გვარები აღარ იხმარონ და პირდაპირ სწერონ — გაუწყებთ, წარმოგიდგენთ და სხვა. გარდა ამისა, გუბერნატორისადმი მიწერისთვის მაინცა და მაინც საკირო არ არის ესა თუ ის ბლანკი ანუ დიდი ქაღალდი თუ პატარა, ოღონდ საქმე კი საფუძვლიანად იყოს მოხერხებული.

ეტყობა ყველაფერს, რომ მეოცე საუკუნე დაღაა..

* დღემდის იმ სემინარიალეს, რომელთაც 2 კლასი არ ჰქონდათ გათავუებული და მთისწყობდნენ სამეგრეო სამსახურში შესვლას თავისუფალ ჯანს-კაცად,

ეგზემენი უნდა დაეჭირათ ან გიმნაზიასთან ან რეალურ სასწავლებელთან. ახლა უწ. სინოდმა სება დართო, რომ სსსსეულ სემინარიალეს ეგზემენი სემინარიაშივე დაატყენონ და მასტენ მოწმობა სამეგრეო სამსახურში შესვლას.

* „მწიქსი“. რედაქციამ მიიღო ძლიერ სსსსეო და სსსსრეებო წიგნები ეველა სასულიერო გამომცემელსათვის. ამ წიგნების დასმარებათ ძლიერ გაუდვიდლება მათ გამომცემის საქმის წარმოება. აგრეთვე მიღებულია: „Права и обязанности благочиннаго“. ამ წიგნში ბლადონანი ბევრ რაიმე სსსსრეებლს წაითხსეს და ასტელდება ამ შეტდამებს, რომლებშიაც სხე წმირად ვარდებთან სლდეუ წაგეთრება. თითოეული წიგნის ფასია მანეთი და ორი ანახო.

* კავკასიაში მართლ-მადიდებლობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭოსთან დაარსდა კომისია გორის ეპისკოპოსის, ყოვლად სამღვდლო კირიონის თავმჯდომარეობით; კომისიის წევრებად არიან: დეკანოზი ვოსტორგოვი, დეკანოზი ელიევი და ამ საზოგადოების სკოლების ინსპექტორი ე. მაშინაშვილი. კომისიამ უნდა შეადგინოს პრაექტი სკოლების მართვა-გამგეობისა და სამის მისიონერის თანამდებობის დაარსებისა სასულიერო პირთაგან. საზოგადოების საბჭოს განზრახვა აქვს სკოლების სამი ინსპექტორის ნაცვლად მომავალში ერთი ინსპექტორი იყოლიოს, რომელიც იქნება ყველა სკოლების მეთვალყურე და ამასთანავე ის იქნება საზოგადოების საბჭოს წევრი და ყველა ეპარქიის სასწავლებლების საბჭოსიც (საქართველოსი, იმერეთისა, გურია სამეგრელოსი და სხატუმისა).

* „კავკასი“-ს გაუგონია, რომ საქართველოს ეგზარხოსის, მალა-ყოვლად უსამღვდლოესის ალექსის თაონობით კითხვა აღიძრა იმაზე, რომ სასულიერო უწყებამ ტფილისში საკუთარი სტამბა გახსნას ქართულ საღმრთო სამსახურის წიგნების საბეჭდავად და აგრეთვე სამოსწავლო საბჭოების მოთხოვნილებათა, ჟურნალ „ვესტნიკი“ და სხვა საეგზარხო დაწესებულებათა საქმეების დასაბეჭდად.

„კავკასი“ ძლიერ შემცდარია, რომ ამ ამბავს ახალ ამბად აცხადებს. თითქმის ორი-სამი წინანდელ ექსარხოსების დროსაც გამოაცხადეს ეს, მაგრამ ჩვენ მხოლოდ განცხადებას ვკითხულობთ და საქ-

მით კი, სტამბას არ ვხედავთ.

* * გამოცხადებულია: ხელწიფე-იმპერატორმა, თანახმად საერო განათლების მინისტრის მოხსენებისა, უმაღლესად ნება დართო საცვლელად, ხუთი წლის განმავლობაში სამხედრო-საეკიპო საიმპერატორო აკადემიაში მიღებულ იქნან სამინისტროს რეალურ სასწავლებელში კურს დამთავრებულნიც ისევე, როგორც გიმნაზიებში კურს დამთავრებულთ იღებენ, მხოლოდ ან აკადემიაში შესვლისათანავე ან პირველი წლის განმავლობაში უნდა გამოიცადონ ოთხი კლასის კურსის ლათინურის კოდნაში.

* * კარგა ხანია, რაც ჩვენ მკითხველებს ვაუწყებთ, რომ სასულიერო წოდებაში დიდი ცვლილება მოხდება მეთქი. აღსრულდა ეს დიდი ცვლილება: კირონი თავის თხოვნათ კამენეკობლოის ეპარქიაში იქნა გადაყვანილ ეპარქად, იმის ადგილზედ დანიშნა გორის ეპისკოპოსად უწ. სინოდის წარდგინებით არხიმანდრიტი ბენიამენი, ჩამომავლობით რუსი. ალავერდის ეპისკოპოსად დანიშნა არხიმანდრიტი დიმიტრი — არდონის სემინარიის რექტორი.

გამედულად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ კირონის გადაყვანამ რუსეთში მისივე თხოვნით, მთელი საქართველო შეაწუხა...

* * იმპერატორი ნიკოლოზ პირველის დროს სინოდმა მოინდომა რუსის არხიმანდრიტის დანიშვნა ეპისკოპოსად საქართველოში, მაგრამ იმპერატორმა ურჩია სინოდს, რომ ეპისკოპოსად დანიშნულიყო ქართველთაგანი. დღემდისინ მართლდაც ქართველები ინიშნებოდნენ ეპისკოპოსებად.

* * ხვები ისმის, რომ სოხუმის ეპარქია თხოვილობს, ემორჩილებოდეს პირდაპირ სინოდს და კანტორისა და ექსარხოსის გამგეობიდან გავიდეს. თუ ეს ასრულდა, მაშინ ექსარხოსობა მარტორი ეპარქიისათვის იქნება დაშინილი...

* * სოფელს შრომაში ამერიკულ ვენახს გაუჩნდა რაღაცა თეთრი მატლი და ახმობს ვენახებს.

ეს მატლი უწინდება უფრო რიპარიას ლერწს. ამ ლერწს ჯერ გარედან შემოხრავს ეს მატლი და ბოლოს შიგ გულში შეჭრება და გულს გამოქსამს თუ არა ვენახს ხმება. რიპარიას ლერწს დიდი გული აქვს. ვაბრთხილებთ რიპარიას ლერწს შეიძველთ, რომ ბოლოს დიდ ზარალში არ ჩავრდენ.

გ ვ მ მ ს ი

Вышед из печати и продаются отд. учебные пособия, составл. нач. учит. Д. Е. Рзянкинымъ:

1. „Учение-свѣтъ“. Букварь. ц. въ переп. 15 коп.

2. „Начальные приемы обученія чтенію и письму“. ц. 20 к.

3. „Провиси-образцы“. Изд. 2-е, испр. ц. 12 к. Авторъ, для ознакомленія, всѣ три книги высылаетъ съ налож. плат. за 60 коп.

При требованіи не менѣе 25 экз. уступ. на букварь 15%, а на прописи отъ 25 до 35%. Пересылка за мой счетъ.

Адресъ: Баку—Балаханы, учит. Д. Рзянкину.

შ ი ნ ბ ა რ ს ი

სალიტერატურო განმედილობა: სიტყვა, მართლმადიდებლობის კვირთაქსა, თქმული ქუთაისის საკათედრო ტაძარში ყოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკ. ლეონიდის მიერ. — მწარე ფიქრები. სოფლის ხუცესი. — წერილი ყენევიდგან. დარეშული ქალი. — წერილი რედაქციისადმი. მღ. მ. ხატიაშვილი — საისტორიო მასალა. საქართველოს გაერთიანების აზრი მე-XVIII საუკუნეში (1789 წ.). — მწყემსისა კორესპონდენტები: იალტიდან. კლარჯი გაბიჭვაძე. — მიუნხენიდან. გამგებთა. — სოფ. შთავარ-ანგელოზიდან. ფ. ცინცაძე. — ბრძენ კაცთა გონების საღაროდან. ახალი ამბები და შენიშვნები. — განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ლაბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 1 апрѣля 1902 г. ♦ Цензоръ прот. Е. Еліевъ

Типог. редакція журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.